

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის, საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ფონდებით სარგებლობის წესი

დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 ნოემბრის №76/2020 დადგენილებით

1. მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდეგში თსკ) ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (შემდეგში ტმკსც), ქართული ხალხურის მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის (შემდეგში ქხმშლ) და საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიის (შემდეგში სმლ) საარქივო/საბიბლიოთეკო ფონდებში დაცული მასალებით სარგებლობის წესს.

1.2. წინამდებარე წესი ეფუძვნება საქართველოს კანონმდებლობასა და კონსერვატორიის წესდებას.

2. საფონდო რესურსები

2.1. საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს გამოცემული ან გამოუცემელი მასალა;

2.1.1. ბეჭდურ მასალაში შესულია: წიგნები, სანოტო და სამეცნიერო შრომების კრებულები, ჟურნალები, გაზეთები, საკონფერენციო თეზისები, ბუკლეტები, გამოცემული აუდიო, ვიდეოდისკები, ფირფიტები და სხვ.

2.1.2. მასალა ხელნაწერის უფლებით მოიცავს: საკვალაფიკაციო და სადისერტაციო ნაშრომებს, სამეცნიერო შრომებს, ავტორეფერატებს და სხვ.;

2.1.3. საბიბლიოთეკო რესურსების მოხმარება რეგულირდება „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“.

2.2. ლაბორატორიებისა და ტმკსც-ის ფონდებში დაცული საარქივო რესურსებია - საექსპედიციო, სახელმწიფო, კერძო და სხვ. კოლექციები, დედნები, ასლები და ციფრული ვერსიები:

2.2.1. აუდიო და ვიდეო მასალა (ლილვაკები, მაგნიტური ფირები, ციფრული მატარებლები),

2.2.2. ფოტოები, სლაიდები, ფოტოფირები;

2.2.3. ხელნაწერები: ნოტირებული და ნევემირებული მასალა; საექსპედიციო დღიურები/ჩანაწერები, ანგარიშები; სხვა დოკუმენტები (ოქმები, რეცენზიები და სხვ).

3. საარქივო რესურსებით სარგებლობის პირობები

3.1. ზოგადი დებულებები

3.1.1. თსკ-ის საარქივო მასალებით სარგებლობის უფლება აქვს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს;

3.1.2. თსკ-ის საარქივო მასალების გამოყენება შესაძლებელია კომერციული ან არაკომერციული მიზნით სამეცნიერო, სასწავლო-საგანმანათლებლო, საშემსრულებლო, საგამომცემლო დანიშნულებით ან ნებისმიერ სხვა შემოქმედებით პროექტში გამოყენების მიზნით;

3.1.3. საარქივო რესურსების გაცნობის ან დედნის ასლის მიღების მსურველმა სავალდებულოა, შეავსოს თსკ-ის ვებგვერდზე განთავსებული განცხადების ფორმა (**დანართი 1**), ჩააბაროს თსკ-ს კანცელარიას და საჭიროების შემთხვევაში გააფორმოს ხელშეკრულება;

3.1.4. მასალების გამოყენების სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით, თსკ-სა და მომხმარებელს შორის ურთიერთვალდებულებას არეგულირებს თსკ-სა და დაინტერესებულ პირს (ფიზიკურ, იურიდიულ) შორის დადებული ხელშეკრულება;

3.1.5. ხელნაწერის უფლებით დაცული მასალების (წლიური სამეცნიერო ნაშრომები, ავტორეფერატები, რეცენზიები, საკვალიფიკაციო ნაშრომები და სხვ.) გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ ადგილზე. მათი ასლების გაკეთება, როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული გზით, ავტორის ნებართვის გარეშე აკრძალულია;

3.1.6. თსკ-დან მიღებული დედნის ასლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერადად;

3.1.7. გამომცემელი ვალდებულია დაიცვას თსკ-ს საავტორო უფლებები და წყაროს მითითების წესი, რომელიც რეგულირდება წინამდებარე დოკუმენტის 3.6. მუხლით;

3.1.8. მომხმარებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, საარქივო მასალის გამოქვეყნების შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია, გამოქვეყნებამდე თსკ-ს კანცელარიაში წარმოადგინოს საბეჭდი ფაილი, კონსერვატორის ატრიბუტიკის, საავტორო უფლებისა და წყაროების მითითების სიზუსტის შესათანხმებლად და მხოლოდ თსკ-ს მხრიდან დადასტურების შემდეგ გამოაქვეყნოს მასალა;

3.1.9. მომხმარებლის მხრიდან წინამდებარე დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული წესის ნაწილობრივ ან სრულად დარღვევა შესაძლებელია თსკ-ს მხრიდან მასთან სამომავლო თანამშრომლობის შეწყვეტის და მასალის გამოყენების აკრძალვის საფუძველი გახდეს;

3.1.10. საარქივო აუდიო/ვიდეო/ფოტო მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოცემის შემთხვევაში, ორიგინალის ასლის ტექნიკური დამუშავება ხდება თსკ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან წინასწარი შეთანხმებით და რეგულირდება თსკ-სა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;

3.1.11. თსკ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში, უფლებას იტოვებს შეზღუდოს გარკვეული მასალის სხვა ორგანიზაციის/ფიზიკური პირის მიერ გამოცემა.

3.2. მასალის (დედნის ასლების/ინტერპრეტირებული ვერსიების) არაკომერციული, სამეცნიერო/სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულებით გამოყენების პირობები

3.2.1. მასალის არაკომერციული, სამეცნიერო/სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულებით გამოყენება უფასოა;

3.2.2. სამეცნიერო/სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნით მიღებული მასალის გავრცელება ან გამოცემა/გამოქვეყნება (მათ შორის, სამეცნიერო სტატიის) თსკ-სთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე აკრძალულია;

3.2.3. სამეცნიერო/სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნით მიღებული მასალის გავრცელება ან გამოცემა/გამოქვეყნება (მათ შორის, სამეცნიერო სტატიის) თსკ-სთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე აკრძალულია.

3.3. მასალის საშემსრულებლო მიზნით გამოყენების პირობები

3.3.1. მასალების დედნის ვერსიების ინტერპრეტირება (გაშიფრვა, შესრულება) შემდგომი საშემსრულებლო მიზნებისთვის უფასოა;

3.3.2. ანსამბლების/ინდ. შემსრულებლების მხრიდან ნიმუშთა შესრულების მიზნით მიღებული დედნის ასლების გავრცელება ან გამოცემა თსკ-სთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე აკრძალულია;

3.3.3. შემსრულებელთა მიერ თსკ-ს მასალებიდან შესწავლილი ნიმუშების მითითება მათ მიერ მომზადებულ გამოცემებში (მაგალიათად, ანსამბლის აუდიოდისკი) - აუცილებელია, რაც რეგულირდება ანსამბლს/ინდივიდუალურ მომღერალსა და თსკს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე;

3.3.4. ღონისძიებებზე (სადაც ეს შესაძლებელია) შესრულებული საარქივო ნიმუშის წყაროს მითითება სავალდებულოა.

3.4. მასალის დედნის ასლების/ინტერპრეტირებული ვერსიების არაკომერციულ/კომერციულ გამოცემებში გამოყენების პირობები

3.4.1. მასალის დედნის ასლების გამოყენება არაკომერციულ გამოცემებში უფასოა;

3.4.2. სამეცნიერო კვლევაში, სასწავლო პროცესში, შემსრულებლობაში, არაკომერციულ/კომერციულ გამოცემებში მასალების გამოყენება დედნის ასლების ინტერპრეტირებული ფორმით (მაგ. აუდიონიმუშის ნოტირებული ვერსია) უფასოა;

3.4.3. მასალის დედნის ასლების გამოყენება კომერციულ გამოცემებში ფასიანია და რეგულირდება თსკ-სა და დაინტერესებულ პირს (ფიზიკურ, იურიდიულ) შორის დადებული ხელშეკრულებით;

3.4.4. თუკი თსკ გამომცემელს სთავაზობს პარტნიორობას, თუმცა გამომცემელი არ არის თანახმა თსკ წარმოადგინოს გამოცემის პარტნიორად, მასალის გამოყენების ფასები რეგულირდება თსკ-სა და დაინტერესებულ პირს (ფიზიკურ, იურიდიულ) შორის დადებული ხელშეკრულებით;

3.4.5. თსკ იტოვებს უფლებას ნებისმიერი არაკომერციული გამოცემის (რომელშიც უფასოდ ქვეყნდება თსკ-ს ნებისმიერი ფორმატისა და რაოდენობის მასალის დედნის ასლი თუ მისი ინტერპრეტირებული ვერსია) ელექტრონული ასლი განათავსოს საკუთარ ვებგვერდზე თუ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში შესაბამისი წყაროს მითითებით;

3.4.6. თსკ-ს მასალისა და გამოცემის სპეციფიკის, ასლების/ინტერპრეტირებული ვერსიების რაოდენობის/კატეგორიების და ცალკეული შემთხვევების შესაბამისად გამოცემის მსურველთან თანამშრომლობის ფორმის, თსკ-თვის გადმოსაცემი ტირაჟის ოდენობისა და სხვა პირობების შესახებ შეთანხმება მოხდება ინდივიდუალურად და აისახება კონკრეტულ ხელშეკრულებაში.

3.5. მასალის მითითების წესი

3.5.1. სამეცნიერო სტატიაში, რომელიც იბეჭდება სტატიების კრებულში ან ელექტრონულ გამოცემაში, წყაროს მითითება შესაძლებელია გამომცემლის სტილის მიხედვით;

3.5.2. დედნის ასლების თუ მათი ინტერპრეტირებული ვერსიების გამოყენებისას აუცილებელია შესავალში ან სხვა შესაბამის ადგილას აისახოს წყაროს სრული საპასპორტო მონაცემი (დაცულობის ადგილი, სათაური, ჩამწერი, ჩაწერის წელი, ჩაწერის ადგილი, შემსრულებელი, ერთეულის საპასპორტო ნომერი და სხვ.).

3.5.3. ნებისმიერი ტიპის გამოცემაში გამოყენებულ თუნდაც ერთ ნიმუშს უნდა ჰქონდეს მითითება მასზე კონსერვატორიის საავტორო უფლების შესახებ;

3.5.4. ერთობლივი გამოცემის შემთხვევაში სატიტულო გვერდის შემდგომ გვერდზე აუცილებელია კონსერვატორიის სრული სახელის მითითება და ლოგოს განთავსება საავტორო უფლების სიმბოლოსთან (©) ერთად ან მხოლოდ აუდიონიმუშების გამოყენების შემთხვევაში უნდა მიეთითოს აუდიონიმუშთა საავტორო უფლების სიმბოლო (®);

3.5.5. ერთობლივი გამოცემის შემთხვევაში ორგანიზაციული პარტნიორობის ფარგლებში თსკ-ის სრული სახელი უნდა მიეთითოს მთავარი გამომცემლის ქვემოთ იგივე შრიფტითა და ზომით;

3.6.6. ფიზიკურ პირთან პარტნიორობით ერთობლივი გამოცემის შემთხვევაში, თსკ-სთან პარტნიორობა უნდა აისახოს სატიტულო გვერდის შემდეგ გვერდზე;

3.6.7. საარქივო მასალის საშემსრულებლო მიზნებით გამოყენებისას შემსრულებელი (ანსამბლი, ჯგუფი, ინდივიდუალური) მასალას იყენებს მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაციისთვის საჯარო შესრულებისას. შემსრულებლის მიერ ინტერპრეტირებული საარქივო მასალის აუდიო/ვიდეო გამოცემის შემთხვევაში, თუკი ფორმატი იძლევა ამის შესაძლებლობას, უნდა მიეთითოს თითოეული ნიმუშის დედნის ასლის საპასპორტო

მონაცემები, სხვა შემთხვევაში, სულ ცოტა, უნდა გაკეთდეს შენიშვნა, რომ ესა თუ ის ნიმუში აღდგენილია თსკ-ის შესაბამისი ერთეულის საარქივო ჩანაწერებიდან.

4. მომსახურება

4.1. თსკ მომხმარებელს უზრუნველყოფს ადგილზე მასალების გაცნობისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას;

4.2. ადგილზე მუშაობის საათები განისაზღვრება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან წინასწარი შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო საათების ფარგლებში;

4.3 ადგილზე შესაძლებელია დედნის ასლების უფასოდ გაცნობა და მათი გაშიფვრა (აუდიო/ვიდეო)/ხელით გადაწერა (ხელნაწერი ნოტები), და წინამდებარე წესის მიხედვით უფასოდ გამოყენება;

4.4. მომხმარებლისათვის მასალის დედნის ასლის მიწოდება ხდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

4.5. მომხმარებლისათვის ჯერ კიდევ გაუციფრებელი მასალის ასლის მიწოდება ხდება 30 სამუშაო დღის განმავლობაში;

4.6. დედნის ასლების გადაწერისათვის საჭირო ელექტრონული მატარებლის გარემეხსიერება, CD/DVD დისკი) მიწოდებას უზრუნველყოფს მომხმარებელი;

4.7. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება და რეგულირდება თსკ-სა და დაინტერესებულ პირს (ფიზიკურ, იურიდიულ) შორის დადებული ხელშეკრულებით.